

მშრომლობა

ეროვნული
ბიულეტენი
ან მიხედვით მტერსა მამულსა, არ მოჰყვ
დეს ჩემი თავია.

პარიზი.
ივლისი 1930 წელი
№ 30

ქართველ პატრიოტთა ორგანიზაციის ოცდამეორევი.
Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETHRI GUIORGUI»
Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris - XVII

Paris
Juillet 1930
№ 30
ფაზი
2
ფრანკი

რუსეთი და საქართველო. (1)

სული წლის თავი შევხვდეთ თეთრ გიორგის და ამ წლის განმავლობაში ვვრავინ შეხვედნის ერთგული იდეოლოგიის სერვილური კრიტიკა.

თ. გ. იმ უარყოფი და დაჰყოფი მკველი პოლიტიკური პარტიების პრეგრამა და მკველი. მრავალ განსხვავებათა გარდა ამ პოლიტიკურ პარტიებს ერთი რამ საერთო აქვთ, — ერთი და იგივე მიზანი: ერის დაყოფა ურთიერთის მოწინააღმდეგე ბანაკებად. ერთგული ორგანიზაციის დანიშნულება კი ის უნდა იყოს, რომ ყველა სასარგებლო ძალები ერთი მიზნისაკენ მიმართოს და შექმნას ერთი დიდი ერთგული ძალა, განმარტებული ერის ცხოვრებისა, შექმნილი მის ახალ ხედვებზე. თეთრი გიორგის მიზანია ეს არის.

სხედი მთავარი ხელისუფლები მიხედავს, რომელიც მთლიან ორგანიზაციულ შეკავშირებას ამრავლებს, მკველი პოლიტიკური პარტიების: მათ ქართველი ერის წიაღთა შინა სიძულვილი დასთესეს ნაცვლად ერთხელდევნიბისა.

ქართული პოლიტიკური პარტიების იდეალი დემოკრატიაა, რომელიც თვით ვერძალაში განიცდის კრიზისს და საქართველოში კი მას არავითარი ნიადაგი არა აქვს. ჩვენი მოვალეობაა ამ დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა, ვინაიდან დემოკრატია ვერ იტევს ერის ინტერესებს, სხედი სხედი დემოკრატია ხომოვლოვად კი უარყოფს: სამდლოდ მიზანი მისი ხედი სიცილიანობა!

ავიღოთ უწინარეს ყველისა დემოკრატიული არჩევნების სისტემა, რომელიც დამყარებულია საყოველთაო არჩევნების უფლებასზე. საყოველთაო არჩევა დირსკულს უნდა ირჩევდეს, მაგრამ სინამდვილეში წინააღმდეგი სდება: ჩვენ ამისი მაგალითები საქართველოდ დამოუკიდებლობის დროს განვიცადეთ, როდესაც ყველასზედ უვიცებმა ჩაიფიცეს სხედი, დემოკრატიული საარჩევნო სისტემით, ქვეყნის მართვა-გამგეობა.

დემოკრატია არ ყოფილა არადიფს უფლებავიდედ. არ არის პარლამენტარისმი უპარტიოდ, არ არის პარტია უკვლ მიტერედ. აქ ჭაღბა ინტრიგათა და არა დაურეგბა ერის საქმეთა. მაგრამ ჩვენი დროის ეს განსაკუთრებული ეპიდემია, „morbus democraticus“ განივლის და ყველგან დამყარდება ისეთი წესწყებობებზე, რომელიც ერის ინტერესთა ნამდვილ წარმომადგენელთა სამუალებას მისცემს წარუძღვენ ერდვრულ სახელმწიფოს საქმეებს, ნამდვილად მოუარენ მთელ ერს. სხედი მარტლ სმების მიცემით რემ ადარ შეიძლება ერის თრული ცხოვრების ძაღვსრეიება, ეს ყველასათვის თვალსაჩინოდ განბა.

ჯერ კიდევ ოგოუსტ კონტი ამბობდა: «ეს ოცდაათი წელია რაც მე ფილანთროპი კაღბაში ხელში მიჭირავს. მე წარმოდგენილი მაქვს ხალხის სუვერენობა, როდერგ შემაწყებელი სიყაღბე, და თანახმობობა, როდერგ მდარე სიღრუეე». შემდეგ ოგოუსტ კონტი იხივ კი განაცხადა, რომ პარლამენტარისმი ყველგან ინტრიგების რეკიბია, გათახსირებისა, და ტირანიისა და არადიფს პახუსისმეგებელი, — და დაახვვნა: უკვე დროა შევერძმდლოთ პარლამენტარულ სისუღლეებს და გამდინახვს მის გარეშე ორგანიზაციის სხვა ფდრმა: ადმანტლებელი და კანდმდეგელი ძალა-უფლებად უხდა შეკრბებს ერთი პირდევნების სეღბი, რომელიც ქვეყნის წინამე პახუსისმეგებელი იქნება-ო.

თეთრი გიორგის ორგანიზაციამ უარყოფი მკველი დემოკრატიისმი როდერგ წყაროდ ანარქიისა. საქართველოში ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა დემოკრატიულ იდეების ქაღაგებზე დაიწყო და ნაც. დემოკრატიებმა ილია ჭავჭავაძე კი დემოკრატიად გამოაცხადეს. სხედი ილია აი რას მოახსენებს ამგვარ დემოკრატებს: «სმა უნდა აიწინდეს და არა დაითვალვს. ენებავთ საქართველოში თუნდ ათი ათას კაცს ხელს მოვარტონებ, რომ დედამიწა ხარის რეკმეგბა სდგას, და ნუ თუ ეს მგირეადდენ მდოდნე კაცისათვის ხაბუთია? ნუ თუ ათი ათასი კაცის სმა უფდრ მტრს იწინდის, ვიდრე ერთი სმა გალილეისა? თუ კაცი თვითნდ ხელა — გლეხია თუ თავადი — ათასი ამისთანა რომ ხელი სხედი ჩართული ჩავამწკრივოთ მაინც ხელია და ხელი» (ივერია, 1901 N 65).

თეთრი გიორგი ხავსებით იღებს დიდი ქართველი მღაწრის ამ პრინციპს და იბრძოდებს იმისათვის, რომ საქართველოში მართლაც ისეთი წარმომადგენლობითი სისტემა დამყარდეს, რომელიც შესაძლებელ ჰყოფს «სმათა ადწინას» და ერის ყველა ნაწილთა, ყველა შვილთა მოვლას, პატრონობას და ინტერესთა უზრუნველ-ყოფას.

ბეჟან გიორგაძე.

ერთგული აჯანყებანი ყოველთვის ძირითად და პირდაპირ მიხეზთავან არიან გამოწვევულნი. ძირითადი მიზეზები მათ აუცილებელ ჰყოფს და ხშირად ვრცელი დროის განმავლობაში ამხადებს მათ. ხოლო პირდაპირი მიზეზი (ანუ საბაბი) არის ხოლმე რომელიმე გარეგნული მოვლენა, ან მოვლენათა კრებული რომელიც ძირითად მიზეზის მიერ შექმნილ ნიადაგს ბრძოლის ველად აქცევს და ხალხს ხელში იარაღს ააღებინებს, ალაყვებს რა მის მოთმინების ფილას.

საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებათა უმთავრესი ძირითადი მიზეზი ორია:

- 1) ქართველთა და რუსთა შორის სრული განსხვავება.
- 2) რუსთა მიერ საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა დამის ნაცვლად საქართველოში რუსეთის ბიუროკრატიულ წყობლებების დამყარება.

ქართველი ხალხი სრულიად განსხვავდება რუსებისაგან: რასიულად, ზნობრივად, კულტურულად და სარწმუნოებრივად.

ჩვენი და რუსის ხალხის ერთმორწმუნეობა მხოლოდ გარეგნული იყო და ასეთივე დარჩა დღემდე. იგი მხოლოდ მით გამოინახტება. რომ ორივემ კოსტანდუპოლის შეთანხმებით კი ქართული და რუსული ქრისტიანობა სულ სხვა-სხვებისა და ხასიათისა იყო წინად და არის დღესაც, თუმცა რუსეთის გავლენამ, აღწრდამ და ჩვენი ეკლესიის მართვა-გამგეობამ სინოდის მიერ დიდად შერ ენა და დამცირა როგორც სარწმუნეობა ქართველთა ისე ეკლესია საქართველოსა. ქართველები იყვნენ ნამდვილი ქრისტიანები ამ სიტყვის კულტურულ-სწეობრივი მნიშვნელობით. რუსები კი იყვნენ კერძო-თავყანის მცემელები და დღემდე ასეთივე დარჩენ, — ქრისტიანობისამათ მხოლოდ სახელი და გარეგნული ფორმები შეითვისეს (2).

ქრისტეს მოძღვრებამ საქართველოში ჰპოვა უკვე დიდი ხნით გან მომზადებული კულტურული ნიადაგი და მის მისაღებად, მისახვედრად და შესათვისებლად ქართველი ხალხი სრულიად მზად იყო. სანამ სახარების მქადაგებელი საქართველოში ფეხს შემოსდგამდენ, ქართველ ხალხს უკვე მრავალი საუკუნე ჰქონდა განვლილი მაღალ-კულტურისა ერის ცხოვრებისა. თვით შემომქმედს მაჰალი კულტურისა, ჩვენ ხალხს აგრეთვე შეთვისებული ჰქონდა მსოფლიო უმაღლესი ცივილიზაციები. მან განიცადა გავლენა ბაბილონურ-ასურულ, სპარსულ და ელინურ ცივილიზაციათა. შემოვიდა ჩვენში აგრეთვე აღმქსანდრე მაკედონელის ეპოპეის დროს და მის შემდეგ შექმნილი აღმოსავლეთის და ელინურ ცივილიზაციათაგან შეზავებული ეგრედწოდებული ელინისტური ცივილიზაცია. და შემდეგ ბერძნულ-რომაული ცივილიზაცია მოდიოდა საქართველოში პონტისა და კავკასიის გზებით. სადაც იმ დროს ჩვენი მონათესავე და მოდგმის ხალხები სცხოვრობდნენ (3).

ყველა ეს გავლენანი ქართველმა ხალხმა გადახარა თავისებურად ად მისცა მას ქართული ორიგინალური სახე.

ჩვენი ძველი საწარმართო სარწმუნეობაც იყო ერთნაირი სინთეზი ქართულ ერთგულ წარმართობისა და ასტრალურ-ბაბი-

- 1) ამდებებულია ლეო კერეხელიძის წიგნითგან «რუსეთი და საქართველო». რომელიც შექმნილი დაიბეჭდებდა.
- 2) ქართველ მუსულმანებს ბევრად მეტი აქვთ ქრისტიანული ვიდრე რუსებს. ისინი საუკუნეთა განმავლობაში იყვნენ ქრისტიანები და მამა-პაპათა სარწმუნეობამ მათს სულში ბევრი წაუშლელი და ღრმა კვალი დასტოვა. მეტს ვიტყვი: თვით სპარსელებიც კი, დღესაც, რუსებზედ უმეტეს ქრისტიანებიარინ, რამდენადაც სპარსთა შორის კიდევ დარჩენილა ზოროასტრის სარწმუნეობის ელემენტები. ზოროასტრის სარწმუნეობა ხომ მისი მორალური და ფილოსოფიური მინარსით ქრისტეს მოძღვრებას ბევრად უახლოვდება: ავესტა და სხვა სიტყმებიც აღმოსავლეთის სარწმუნეობათა უმთავრესი წყარონი არიან სახარებისა.
- 3) აქ ვასახელებ მხოლოდ იმ ცივილიზაციათა გავლენას ქართველ ხალხზედ, რომელიც მან ქრისტიანობამდის განიცადა.

ლონურ და სპარსულ-მანდურ სარწმუნეობათა და მათთან ერთად ჩვენმა საზოგადოებამ შეითვისა ფილოსოფია და მეტწიურებიანი, რომელნიც ამ სარწმუნეობათაგან განუყოფელი იყვნენ.

გაქრისტიანების პროცესი ჩვენში ხანგრძლივი იყო. ქადაგებით, მაგალითებით, აღწრდით შეითვისა ქართველმა ერმა სახარების პრინციპები, ძვალსა და რბილში გაუჯდა იგი ქართველ ხალხს და იქმნა საფუძვლად მთელის მისის საზოგადოებრივის ცხოვრებისა.

ქრისტიანული სარწმუნეობა, როგორც ყოველივე სხვა სარწმუნეობა, ყველგან ერთის და იმავე სახით არა რჩება. დროთა განმავლობაში მისი შინაარსი და გამოცხადება იქცევა ხოლმე სახარებისა და ერთგულ ბუნებისა, ფსიქოლოგიისა და კულტურის სინთეზად. რამდენადაც მაღალ ბუნების, დიდი ენერგიისა და კულტურისაა ერი, იმდენად მეტს თავისებურებას აძლევს იგი მის მიერ მიღებულს სარწმუნეობას და კულტის ორგანიზაციას (1). განა რომის კათოლიციზმი, რომლის წიაღთა შინაწარ მოიშვენ და მოქმედებდენ უდიდესი ფილოსოფოსნი, მწერალნი და ხელოვანნი, იმავე ღირსებისა და კულტურულ სიმაღლისა, ან იმავე ხასიათისა არის, როგორისაც სირიისა ან მესოპოტამიის კათოლიციზმი? ან იმავე სიძლიერისა და სიწმინდისაა იგი, რომელიც ბევრია, ჩვენსა და რუსების სარწმუნეობის და ეკლესიის შორის არ იყო არაფერი საერთო არც კულტურულ შინაარსისა და არც რწმენის ფსიქოლოგიის და ეკლესიის ორგანიზაციის მხრივ. საერთოდ, ვიმეორებ, ჩვენ და რუსებს გვქონდა საერთო მხოლოდ მართლ-მადიდებელთა სახელწოდება.

ქართველმა ხალხმა ქრისტიანულ ეკლესიას საუკუნეთა განმავლობაში მისცა ნამდვილი ქართული ერთგული სახე და იგიც თვისის შეწინიერი ბუნებისა და სულის განსახიერებად შექმნა. ისეთი თავისებურება მიიღო საქართველოში ქრისტიანულმა ეკლესიამ და თვით რწმენის ფსიქოლოგიამაც, რომ საქართველოს ეკლესია მეზობელ ეკლესიებს: ბოსნიისას, სომხეთისას და სხვ. — ეკლესიებს იმ ხალხთა, რომელნიც ქართველ ხალხს კულტურულად ენათესავებოდენ, — გამოეყო და დამოუკიდებელ ავტოკეფალურ გზას დაადგა. და რაღა უნდა ჰქონოდა საერთო საქართველოს ეკლესიას რუსის ბიუროკრატიულ ეკლესიასთან? ქართველის ქრისტიანულ სასოებას რუსის რასპუტინისებურად შეგნებულ რწმენასთან? არაფერი!

ის შეხედულება, რომ ჩვენ და რუსებს გვაქვს ერთი სარწმუნეობა და ეკლესია, ისეთივე შეცდომაა, როგორც ის სარჩვენი „ინტილიგენციისა“, ვითომც რუსეთი წარმოადგენდეს რაიმე დიდ კულტურულ ღირებულებას.

რუსეთში ქრისტიანობა ევოლუციის გზით არ დამკვიდრებულა. რუსის ხალხი მთავრობის რეფორმით და ძალდატანებით გაქრისტიანდა. ამ ქვეყანაში ქრისტიანობას დაემართა ის, რაც ჰეტრედ დიდის მიერ გადმონერგულ ევროპულ კულტურას. ეს უცხო კულტურა შეეხო საზოგადოების მაღალ ფენებს და ისიც მხოლოდ მის უმცირეს ნაწილს, ხოლო ხალხისთვის სრულიად უცხო დარჩა: რუსეთში ევროპის კულტურისა და ქრისტიანობის ნერგმა ფესვები ვერ გაიდგა, რათგან ნიადაგი ქობიანი გამოდგა, მხოლოდ-და ცოტადენი ფოთოლი და ისიც დამკვიდრდა და სწეული გამოიღო.

როდესაც წმ. ვლადიმერმა რუსის ხალხი მართარების ცემით დნებრში შერევა მოსანათლავად, ეს უკანას-

- 1) ველურნი, როგორნიც არიან ზანგები, პოლინეზიის მცხოვრებნი, წითელკანიანები, რუსები, რა თქმა უნდა თავისას ვერაფერს შესძენენ ქრისტიანულ სარწმუნეობას. ქრისტიანობისაგან იგინი მხოლოდ გარეგნულ ფორმებს, ხატებს, ქანდაკებებს და სხვ. ითვისებენ და პრინციპები კი მათთვის უცხონი რჩებიან. მეორე მხრივ არცა აქვთ საკუთარი ერთგული სახე მკაფიოდ გამოთქმული და ამიტომ ვერაფერს ორიგინალურს, კულტურული ღირებულება რომ ჰქონდეს, ვერაფერში ვერ შეიტანენ.

კნელი ველურობის, კულტურის უმდაბლეს ხარისხს იღბა და ვერც სულიერად, ვერც გონებრივად სახარების მცნებებს ვერ შესწავდა. იგი იმავე წარმართად დარჩა მონათვლის შემდეგ, როგორც იყო მონათვლის წინად. მხოლოდ მისი საწარმართო რელიგიური ელემენტები შეეზავა მისთვის უცხო ქრისტიანულ ელემენტებს, და ამგვარად შეიქმნა რუსეთში ახალი, სკივთურ-სლავურ-ქრისტიანული სინკრეტისმი, შეუდარებელი თვისის ველურობითა და სიმანხინჯით, სარწმუნოებათა მთელს ისტორიაში! და რათგანაც ვერც შემდეგ გავლტურისდა ეს ცივილიზაციის ურჩი ხალხი, დღემდე დარჩა რუსი ველურკერპ-თვევანისმცემლად, რომელიც ისეთივე უანატისმით ლოცულობდა გუშინ-წინ ღვთისმშობლის ხატის წინაშე, როგორც გუშინ რასპუტინისა და დღეს ლენინის გვამის წინაშე! აი რაიმე ჰყოფს ქართველი ხალხის ქრისტიანობას რუსების ქრისტიანობისაგან გარდაუვალი უფსპრული.

საკმარისი არ არის ადამიანი ან ხალხი ქრისტიანულ იწოდებოდეს, რომ ის ფსიქოლოგიურად და ზნეობრივად ნამდვილი ქრისტიანე იყოს. ექვატორზედაც არიან ქრისტიანი ზანგები, რომლებიც ხატების წინაშე გონების დაკარგვამდე ლოცულობენ, მაგრამ ქურდობა, კაცის კლვა, ადამიანის ხორცის ჭამა (1) სიმშობის დროს, ღალატი, ერთის სიტყვით ყოველივე ის, რაც ახასიათებს ბარბაროსსა და სოციალურად და ზნეობრივად განუვითარებელ ხალხს, ჩვეულებრივი მოვლენაა მათ შორის. განა ამავე მოვლენებს არა ვხედავთ ქრისტიანულ „წმინდა“ რუსეთში?

კულტურისა და ცივილიზაციის მხრივაც ქართველ ხალხსა და რუსებს შორის დიდი განსხვავება იყო. არამც თუ განსხვავება, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენსა და მათ შორის ამ მხრივაც საერთო არაფერი არის და წინად სრულიად არ ყოფილა (2).

ცნობილია სამი საკაცობრიო მნიშვნელობის ცივილიზაცია: უძველესი ცივილიზაცია—ადამიანთათვის, ანტიური ანუ ბერძნულ-რომაული და დღევანდელი, ანუ როგორც უწოდებენ, ახალი, ევროპული ცივილიზაცია. ქართველი ხალხი წარმოიშვა უძველეს ცივილიზაციის სფეროში. იგი ხანგრძლივად სცხოვრობდა ამ სფეროში და განიცადა აგრეთვე გავლენა ანტიურისა. ამიტომაც ახალი ცივილიზაცია ჩვენთვის ადვილი შესათვისებელი შეიქმნა.

რუსები კი არც ძველს და არც ახალ ცივილიზაციას არ ეკუთვნიან. ეს ხალხი ორთავეს გარეშე სდგას. როდესაც რუსეთი გამოვიდა სკივთის ველებ-ტყეებითგან და, სკანდინავიელების წყალობით, სახელმწიფოებრივ ცხოვრებას შეუდგა, ძველი ცივილიზაცია და ანტიურიც უკვე დიდი ხნითგან ჩამქრალი იყო. ხოლო ახალი ცივილიზაცია ევროპაში უკვე ჰყვავდა. როდესაც რუსები ჯერ კიდევ «პერუნს» თაყვანს სცემდნენ, ევროპის ცივილიზაციას უკვე მძლავრად ჰქონდა ფრთები გაშლილი და მის ფეოდალურ სისტემაში და სამართალში უკვე ჩასახული იყო ის დაწესებულებები, რომელზედაც უნდა აგებულიყო მომავალი ე. ი. დღევანდელი უფლებრივ-სახელმწიფოებრივი შენობა. მეორეს მხრივ, ქრისტიანობა არამც თუ უკვე მოღებული იყო ევროპაში და აზიაში, არამედ მაჰმადიანობაც გავრცელებული იყო და არაბთა ხელით ჰქმნიდა ცივილიზაციის სხვა მძლავრ სფეროს.

ახალი ცივილიზაცია დამყარებულია უმთავრესად სამ საფუძველზე: ქრისტიანობაზე, ფეოდალურ წყობილებაზე და აღორძინების ხანაზე. ეს ფაქტორები იყო უმთავრესი შემოქმედი თანამედროვე ცივილიზაციისა. რუსეთი სრულიად მოკლებულია თანამედროვე კულტურის სამთავე საფუძველს. ქრისტიანობაზე უკვე მოგახსენე მკითხველს. ესლა შევეხები ფეოდალობას. ფეოდალობა ევროპულ და ქართულ შინაარსით რუსეთში არ არსებობდა. ან, თუ გნებავთ, არსებობდა მხოლოდ მისი უარყოფითი მხარე: ყ მ ბ ა, „კრეპოსტნოე პრავე“, როგორც მას რუსები უწოდებენ. ხოლო რაინდობის ინსტიტუტი, მისი მძლავრი ზნეობითა და ტრადიციებით: ერთგულობა, უანგარო სიყვარული, ვაჟკაცობა, მიცემულ სიტყვის შესრულება, მე-

1) 1922 სიმშილის წელს რუსეთში მშობლებმა შესკამეს 100.000-ზე მეტი ბავში და საერთოდ კი რუსების მიერ ამ წლის განმავლობაში შექმულ იქმნა 300.000-ზე მეტი ადამიანი. მათი მეზობლები, ყირიმის თათრები, ურთები და გერმანელი კოლონისტები, რომელნიც იმდენადვე იყვნენ დამშულები რამდენადაც რუსები, ადამიანის ხორცის ჭამას სიმშობლით სიკვდილს არჩევდნენ ხოლმე.

2) თუ დღეს რაიმე გვაქვს საერთო რუსების კულტურასთან, მხოლოდ ის, რომ მათი სწეული ტინის მიერ შექმნილი მწერლობა და პოლიტიკური აზროვნება სენივით გადაეღო ჩვენ მოაზროვნე საზოგადოებას და ამ უკანასკნელმა ეს სენი რამდენადმე, მეტადრე პოლიტიკურ აზროვნების სფეროში, ჩვენ ხალხსაც მოსდო.

გობრის გატანა, მამაკური ასპარეზობა, ერთი სიტყვით ყოველივე ის, რასაც რუსთაველი გვასწავლის თავის უკვდავ პოემაში და რაც სარჩულად დაედო ევროპის დღევანდელ ზნეობრივ აღზრდას და შეგნებას, რუსეთის „კრეპოსტნოე პრავე“-სათვის სრულიად უცნობი იყო. რაინდების მაგიერ აქ ვხედავთ არაყით გაღებულ „ბოიარებს“, რომელნიც გასართობად ურთიერთს მუშტი-კრივითა და „დუბინებით“ თავიარს ამტკვრვენ. არ არსებობდა აგრეთვე რუსეთში ის, რაც იყო ფეოდალობის უმაღლესი და უშვენიერესი მხარე: ქალის თავისუფლება და კულტი მისი. ქალის ამგვარი პატივისცემა და მისი მძალი მდგომარეობა აუცილებელი იყო ოჯახის აღზრდისათვის, რამაც უდიდესი ნაყოფი გამოიღო. იქ სადაც ქალი მონაა, ოჯახი არ არსებობს და ის კულტურა, რომელს საფუძვლად ოჯახი არ უძევს, ყოველთვის მძაბალი საფუძურისაა (3). დიახ, ქალის კულტი, რომელიც შოთას ათქმევინებს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ხვადია“ო, რუსეთში არ არსებობდა (4). იქ, პირიქით, ვხედავთ „ტერემებში“ ჩამწყვედი ქალებს, რომელთა უმაღლესი დანიშნულებაა მამაკაცის გართობა ლოთობითა და ცეკვით და მის ვნებათა დაკმაყოფილება. ის სოციალური და ოჯახის აღმზრდელი როლი, რომელიც ფეოდალურ ევროპაში და საქართველოში ქალს ეკუთვნოდა, რუსის ქალისათვის უცნობი იყო. ეს უკანასკნელი მონადა და საროკიპოდ იყო აღზრდილი.

რუსეთში, ამაყ რაინდის მაგიერ, რომელიც უშიშრად გადის ლომებით სავსე ასპარეზზე, რათა თვისს გულის რჩეულს ხელთათმანი ამოუტანოს, ვხედავთ გარყვნილ ბოიარებს და მუქიკებს, რომელნიც „კნუტი“ სცემენ თავიანთ დედებს, ცოლებს და დებს (5). „კრეპოსტნოე პრავე“-ს რუსეთში არ არსებობდნენ აგრეთვე დიდ მაგნატთა სასახლეები, მზავის სფორცებისა და მედიჩების და მრავალ სხვა სასახლეთა ევროპაში, ბაგრატიონების, ათაბაგების, ერისთავების, ორბელიანებისა და სხვათა დიდებულთა საქართველოში, სადაც სწავლულნი, ფილოსოფოსნი, მგოსანნი და ხელოვანნი იკრიბებოდნენ და ამ სასახლეთ უმაღლეს მწერლობით შემოქმედების ყრადა ჰქმნიდნენ, შეჯიბრებით ჰლესავდნენ თავიანთ ნიჭს, აფაქიზებდნენ გრძნობებს საზოგადოებისა, პირიქით, მაშინ როდესაც დავითის. თამარის, ვახტანგის, ერეკლეს კარზედ შავთვლები, თმოგველები, ჩახრუჩაძეები, რუსთაველები, საბა სულხანე-

3) მუსულმანებშიაც კი ქალის მდგომარეობა რუსეთისაზედ მძლავრად იდგა, ვინაიდან, თუმცა ქალი გარედ თავისუფალი არ იყო, მაგრამ ოჯახში კი ჰქონდა და აქვს უპირატესობა და ოჯახობრივ ცხოვრებაში მამაკაცზედ თუ არა მეტი, ნაკლები უფლებები არა აქვს მინიჭებული, თუ არა ყურანით, ადამიანთა სამართლით მაინც. ამის შესახებ მკითხველს ურჩევ გავცნოს გრაფ გობინოს თხუშულებას „სპარსეთი“.

4) მართალია პეტრე დიდმა ქალები ტერემებითგან გამოიყვანა და მათ ძალდატანებით მისცა თავისუფლება, მაგრამ ეს განთავისუფლება ისე მოულოდნელად მოხდა, გონებრივად და ზნეობრივად ისე მოუშალდებლნი იყვნენ ამისთვის რუსის ქალები, რომ რეფორმამ მხოლოდ ცუდი ნაყოფი გამოიღო. რუსეთში ყოველგვარი ცვლილება პროგრესიული ხასიათისა თვით ხალხითგან კი არ გამომდინარეობდა და საზოგადოებრივ ევოლუციის ნაყოფი კი არ იყო, არამედ მთავრობის რეფორმებით და ძალდატანებით ხდებოდა. ხალხური მოძრაობა რუსეთში მხოლოდ პუგაჩოვშინით, სტენკა რაზინის ბუნტით ან ბოლშევიზმით გამოიხატა. ქალთა თავისუფლებაც მთავრობის რეფორმით განხორციელდა. აქ არ შეგვიძლია გრცლად მოვუხროთ, მკითხველს თუ როგორ დასცა ზნეობრივად და გონებრივად რუსის ქალი ამ ძალდატანებითა პეტრეს რეფორმამ.

5) რუსის ხალხური პოეზია ქალზედ ცემა-ტყეებისა და ლოთობის ამბებით არის სავსე. ერთ დროს მე ასამდინ ლექსი მქონდა შეკრფილი ამ შინაარსისა. ბევრი მათგანი დეკარგე, მაგრამ ესლაც ოციოდე მაქვს კიდევ. სამწუხაროდ აქ მათი შინაარსის მოყვანა შორს წაგვიყვანს. მომყავს მხოლოდ ორი მათგანი მოკლედ: 1) შორს გამათხოვა დედა ჩემმა და როცა მოვიდა ჩემს სახანავად, ვეღარ მიცნო ისე მქონდა თავ-პირი და ტანი დასერილი ჩემი ქმრის შოლტისაგან, ამბობს ქალი. 2) მამა ჩემს ყელი გამოვჭერ, დედა მოვკალ, ჩემ დას ნამუსი ავხადე—ძალა ვიხმარეო, ცოლი საროკიპოდ ქუჩაში გაუშვიო“, ამბობს ვაჟი. შეადარეთ ეს ლექსი ქართულ ურმულს, სადაც ჩვენი გლეხკაცი ამბობს: როდესაც აღზვენითგან დავბრუნდები, ჯერ დედას გადავხვევი და მერე ცოლსა და შვილსაო... დიახ შეადარეთ ურთი ერთს ეს ორი ხალხური ლექსი და ადვილად წარმოიდგენთ როგორც ორი ხალხის სულიერ-ზნეობრივ განსხვავებას, ისე რუსის ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში და მამაკაცის მისდამი მოკვრობას.

ბი, გურამიშვილები, ბესიკები მჭერმეტყველებდნენ და დამღეროდნენ თავიანთ ლეთაებრივ ჩონგურებს, რუსეთის მეფეების სასახლეებში კარისკაცი და ბლუაჩნი მხლდნენ კარს ცივილიზისათვის და ლოთობისათვის იკრიბებოდნენ. ერთი სიტყვით რუსეთის ფეოდალიზმს აქვდა ის, რაც ევროპისა და ქართულ ფეოდალობას დაახასიათებდა, — ცხოველ-ყოფილი ძალა, შემოქმედი კულტურისა. ამიტომ რუსის ხალხი საყვებოი მოკლებულია ახალ ცივილიზაციის მეორე საფუძველსაც ისევე, როგორც პირველს. ქართველ ხალხს კი პირველიც და მეორეც ისეთივე მძლავრი და ისეთივე ღირსებისა გვქონდა, როგორც ევროპულ ერებს.

რაც შეეხება თანამედროვე ცივილიზაციის მესამე საყვებურს: აღორძინების ხანას, ამაზედ არ შეგჩერდები, რათგან ყველამ კარგად უწყის, რომ აღორძინების ხანის ბრწყინვალე მზის სხივები, რომელმაც განანათლა მთელი ევროპის ცხოვრება და მოამწყფიფა დიდი კულტურა მისი, არ მიჰკარებია რუსის ხალხის ბნელსა და დახშულს სამყოფელს.

მართალია იტალიის „აღორძინებამ“ არც საქართველომდინ მოაღწია. ევროპითგან მეტად შორს ვიყავით. მას და ჩვენს შუა ერთად ერთი კულტურული ხიდი ბიზანტია იყო და მანდ გადმოსვლას აღორძინება აღბათ შესძლებდა. ხოლო საუბედუროდ ამ დროს ბიზანტია განიცდიდა დატეხისა და გახრწნის პროცესს და ისე დაემხო მეთხუთმეტე საუკუნეში ოღვეამოსილ მოჰამედ მეორის ხელით, რომ „აღორძინების“ გამაცოცლებელ წყაროს ოდნეაც კი ვერ დაეწაფა. მაგრამ საქართველომ სხვა სახით მაინც განელო ხანა ჰუმანიზმის. თუმცა ეს ჰუმანიზმი ევროპულს ვერ უსწორდებოდა, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი კულტურული წონისა იყო. მოვისმინოთ ამის შესახებ პროფ. ნ. მაროი: „სპარსეთის გავლენის ამხანითგან იფურჩქნება ქართული საერო ლიტერატურა. (მხედველობაში აქვს XI საუკუნე). მასთან ერთად საქართველოში ვითარდება თავისებური ჰუმანიზმი. ჰუმანიზმი დაიწყო მე-XI საუკუნითგან, და უფრო ადრეც, ანტიურ საბერძნეთის ფილოსოფიის გაცნობით ნეოპლატონელთა საშუალებით. ქართული ჰუმანიზმი შემდეგ განვითარდა არა ანტიურ ევროპის კულტურის შესწავლით, არა კლასიკურ ქვეყნების მემკვიდრეობის მიღებით, არამედ სპარსულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის და იდეათა შეთვისებით, რაიცა იყო აღორძინება მუსულმანობაში იმავე არიულ ანტიურ კულტურისა, ხოლო აღმოსავლეთისა (1).


ამაირად, ჩვენ, თანამედროვე ცივილიზაციის სამთავე საფუძველი გავაჩნია და ამ საფუძველებზედ განვითარებაც შეგვიძლია ბუნებრივად და ნორმალურად.

ზემო მოყვანილ მოსაზრებათაგან ნათლად სჩანს, რომ ჩვენსა და რუსებს შორის არაფერი საერთო არ არის არც კულტურისა და არც სარწმუნოების მხრივ. და აი ეს ორი სხვადასხვანაირი ბუნებისა, ზნეობისა და კულტურის ხალხი ისტორიის ჯვარედინ გზაზედ შეხვდნენ ურთიერთს. აქ კიდევ ის გარემოება ამწვავებდა ზედმეტად მდგომარეობას, რომ, გარდა ბუნების განსხვავებისა, ამ ორი ხალხის ეროვნული ინტერესებიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდნენ ურთიერთს. საქართველო რუსეთის დახმარებით ეძებდა მშვიდობიან და უფრო ს ავისუფალ ცხოვრებას, რაც მისცემდა მას კულტურულ-პოლიტიკურ განვითარების საშუალებას. რუსეთის იმპერია კი ეძებდა გაფართოებას და გაბატონებას წინა აზიაში და თავისი ბატონობის დასაყრდენ წერტილად საქართველო ჰქონდა ნიშანში ამოღებული. მაშასადამე რუსეთის ბატონობის სუსხი ჯერ საქართველოს უნდა ეწვნია და ჩრდილოეთის მონობის უღელში პირველი ის უნდა შემბულიყო. მეორე თავში დავინახავო, რომ მე ამას ფიგურალურად არ ვამბობ და მართლა შეება რუსის მთავრობამ ჩვენი ხალხი ნამდვილ უღელში და საქართველოს სპარსეთ-ოსმალეთამდის აზიდინა რუსის ჯარის გამარჯვებისა და რუსეთის გაბატონებისათვის საჭირო სამხედრო მასალა.

ამ ორ კულტურის შეხლაში ერთს უნდა დაემორჩილებინა მეორე. მაგრამ დამორჩილების რა საშუალება უნდა ჰქონოდა ბარბაროსს რუსს, ბარბაროსულ კულტურით? როდესაც რომი იპყრობდა გალიას მას იარაღთან ერთად თან ახლდა ჟმალღესი კულტურა და დაბყრობილ ქვეყანაში ლეგონებთან ერთად ლათინიზმიც შედიოდა.

აღექსანდრე მაკედონელს და მის ძლევა-მოხილ ლაშქარს თან მოჰქონდათ ელინიზმის მთელი საუნჯე და დიდი დამყრობი დაპყრობილ ხალხთა კულტურას კი არ სობდა, არამედ ამლიერებდა მათ, აზიარებდა რა მათ ელლადის ცივილიზაციას.

1) პროფ. ნ. მაროი: (რუსულად) «საქართველოს ისტორია». გამოცემა 1906 წლისა, გვ. 32. დაწერილია დეკანოზ ვოსტოგოვის საპასუხოდ.



დამპყრობნი არაბნიც დაპყრობილ ქვეყნებში მხოლოდ თავიანთ ცხენების კვალს არა სტოვებდნენ, არამედ იმ უნივერსიტეტების და აკადემიებისასაც, რომელთა კათედრითგან მათი სწავლულნი ასწავლიდნენ ხალხს ფილოსოფიას და მეცნიერებას: ცეცხლისა და მახვილის გარდა, რომელითაც სპარსელები ხშირად გვიმასპინძლებდნენ ხოლმე, მათ ჩვენში ჯიშობრივი განძი უხვად შემოჰქონდათ. ვანა თმოგველი, რუსთაველი, ჩხრუხაძე და სხვანი სპარსეთის ჰუმანიზმის ნიადაგზედ არ აღმოცენდნენ. ერთი კულტურისანი ხალხი მეორე კულტურისანთან ყოველთვის ჰპოვებს რაიმე საერთოს, თუნდაც მათი დამოკიდებულება ბატონ-ყმობით ისაზღვრებოდეს: ხშირად ამ დამოკიდებულებითგან დამონებული ხალხისათვის მონობასთან ერთად ერთგვარი სარგებლობაც გამოემდინარეობს ხოლმე. მაგრამ რუსი? გარდა ტლანქი ძალის, სხვა რა საშუალება ჰქონდა რუსეთს ქართველ ხალხის დამორჩილებისა და მახედ გაბატონებისა? არავითარი და რას ნიშნავს ერის დამორჩილება ძალის საშუალებით? მის დანგრევას, დამხობას, ფიზიკურად შემუსვრას, გადაგვარებას. სწორედ ამ მეთოდს ბატონობის მიმართ რუსეთმა პირველსავე დღეს თვისის საქართველოში დამყარებისა.

მაგრამ გარდა ამ მიზეზისა იყო კიდევ მეორე ძირითადი მიზეზი საქართველოს რუსების წინააღმდეგ აჯანყებისა. ეს მეორე ძირითადი მიზეზი გახლდათ საქართველოს სახელმწიფოს მოსპობა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

მარტინი საშუბარი.

გან. „თ. გიორგის“ მომავალი ნომერი მ. წერეთლის რედაქტორებით გამოვა. ამიერიდან მ. წერეთელი იქმნება აგრეთვე ჩვენი გამოცემების სელმძღვანელი. ამით არა მარტო ძალია გვემარტება, არამედ ყოველი კულტურული ქართველი პატრიოტისათვის, ვინც კიდევ ყოყმანში იყო მიყვანილი თუ არა აქტიური მოწაწილეობა ჩვენ მოძრაობაში, თვით ის ფაქტი რომ მ. წერეთელი თ. გიორგის დროშის ქვეშ დადგა დიდ მნიშვნელობას უნდა იყოს. ნამდვილი ქართველი მამულიშვილი მთელის მისის ძალითა და დღით უნდა მიიყვანოს. გიორგის შემოქმედებასა და ბრძოლას, რათა ჩვენი ერის სხვა მხლებელნი ამ მოძრაობას შეუძლებად და დიდ მნიშვნელობას მივლენად უნდა ჩაითვალოს, რომ თ. გიორგის დროშის ქვეშ თავს იყრიან „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ ყოფილი წევრნი, ე. ი. ისინი, რომელთაც პირველად წამოაყენეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეალი, იარაღით სულში იბრძოდნენ მის განსახორციელებლად და კვრობის წინაშე პირველად დააყენეს საქართველოს სუვერენობის საკითხი.

ჩვენ ხშირად დავიწყებია, რომ თ. გიორგული მოძრაობა საქართველოს დიდგანდელი მოღვაწეობითგან ბუნებრივად წარმოიშვა და ამიტომ მას დიდი მომავალი აქვს. სიღრმე ის ფაქტი, რომ მას სათავეში უდგებოდა ისეთი გამოცდილი და ურყვენი პირნი, როგორც არიან „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრნი, სრული განაღობა იმისი, რომ თ. გიორგის ირგანისაგან თავის საბოლოო მიზანს გამარჯვებით მიაღწევს.

დღეს თ. გიორგის რეგენში დარწმუნულია საუკეთესო, რჩეული ანალოგისა და ამ თავგანწირულმა მამულიშვილებმა დიდხელის სელმძღვანელებიც მოიპოვეს. თ. გიორგი თავით განვე სიმტკიცით მივიღო და მის მიერ არჩეულ კონკრეტულ გზაზედ და ამიერიდან უფრო მეტის სიმტკიცით და უფრო მეტის ენერჯით განაგრძობს თავის წინდა საქმესა და სამშობლისათვის ბრძოლას.

პასუხი მეტორე რედაქტორს.

ასათიანის ჯგუფი «სამშობლოს» უკანასკნელ ნომერში (N7) რედაქტორის პირით ჩემს წინააღმდეგ ამხედრდა. გაბაშვილის წერილი დაწერილია მთელი იმ ბინძური სულისკვთებით, რომელიც ასათიანის ჯგუფის ზოგიერთ ლიდერებს ახასიათებს.

რედაქტორის წერილი მკითხველი ვერ ჰპოვებს რაიმე იდეურ კრიტიკას, არამედ მხოლოდ ჩემი პორტრეტის ლანძღვა გინებას, ტორტებსა და ცილისწამებას. ეს წერილი რომ სხვას დაეწერა, ნამდვილად მწყინგოდა. მაგრამ რა მოვკითხე პრეზიდენტისა და მთავრობის წინაშე და ცილისწამებულ გაბაშვილს, რომელმაც თავის საკუთარ ლიდერს, ს. გვდიას, ათასი ცილი დასწამა და ქურდობაც კი დააბრალა და თავის ჩვეულებრივად ყოველივე ამ საწინდრებას პირ-და-პირად ქუჩა-ქუჩა დროსდებდა. გაბაშვილს ზურგს უკან ასათიანზედ, განაშტეტებდა, მარტოდაპოვებდა და სხვაგვარად, რომელიც იგი თანამშრომლებს, უარსებობს უთქვამს, ვიდრე ჩემზედ აძლებს. მე არ მინდა ყოველივე ამასვე ვწერო, ჩემი კალამი პირად გინებას არ გამოახერხებს, მაგრამ იცოდეთ კი, რომ ჩემი მეთამიანებას საზღვარი აქვს! - არ დაჩინება გაბაშვილს არც ერთი ქართველი მოღვაწე, რომ თავისი ბინძური გნით ტალახი არ შეეხსას.

გაბაშვილზედ მისივე პოლიტიკური მდგომარეობისაგან გამომდინარე, რომ მხოლოდ ახალ მთავრობაზედ ვიქცეობი, მაგრამ მისი წერილითგან დავრწმუნდი, რომ აქ მთავრის კრალი არა არის რა, - ამ ცდვიან ადამიანს სიციფე დაუდგვით დაჰყვლით. გატონ ასათიანს კი უნდა მოვასხენო: თქვენი ჯგუფის ვიყენი უნდა დააკათ და არა კალამი მისგან სულში!

იმ ცილისწამებაზედ, რომელს გაბაშვილი ზოგადედ სწერს ჩემზედ მე მას არაფერს მოვასხენებ, პასუხის დონადაც არა ვხდი. მაგრამ იმ ბრალდებათა შესახებ, რომელთა გაბაშვილი კვანძურულად მიყენებს, საზღვარსაგან განსაზღვრა უნდა მივხედო.

1) გაბაშვილი ბრძანებს: გერგხელიძემ ყოველანაირად ღწერლის ხარისხი გამოხსნა. ღწერლის ხარისხი არამეტო არ გამოხსნა, არამედ საქართველოში. მთავრობის მიერ ჩემი ჩრდილოეთ კავკასიაში დანიშნა ჩემ პირველად გროვ. დემ. გახეთ «საქართველოში» ამოვიკითხე და ეს ამბავი მხოლოდ რამდენიმე საათის შემდეგ მანერვა ოფიციალურად სამსგდ-რ. მინისტრმა გატონმა რამიშვილმა. ჩვენი სამსგდრ და ნინო ხარისხი თანამდგომლობა იყო დაპოვებული და მამასადაც, დამინიშებს რა ჩრდილ. კავკასიის ჯარების მთავარ ხარდად, ღწერლად ავტორიტურად გაგზავნა. ესადა ხარისხის გამოხსნა არ შესაძლებელია. გაბაშვილმა არც კი იცის რაიმე ამ განიხის არსებობაზედ. თუ ეს ახე არაა და თუ ბ-ნ ყოველანაირად გრთხელ მაინც მიმეპართოს თსვ ნით ჩრდილოეთ კავკასიაში გამგზავნეთ მეთქი, აი გატონგო, მეც აქა ვარ და ყოველანაირად ყველაშ უწყის, რომ ბ-ნი ყოველანაირად არა მწყალდებს, მაგრამ სიძარტლეს არ უარჰყვდეს და სემ ნოტეკამს დაადასტურებს. აქეთგანაც მცენი საზღვარ-დგება ნათლად დაიანახას, რომ გაბაშვილი მარტურად და ცილისწამებულა.

1918 წელს, როდესაც ბ-ნი ჩხენკელი, მამინდელი გარემე საქმეთა მინისტრ, გერლინში იმყოფებოდა, მე შემოვთავაზე მას საქართველოს წარმომადგენლობა შევიგაროთ. ეს ძალიან დიდი თანამდგომლობა იყო, ჯამაგირსაც დიდს მინიშნავდნენ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ გატონი ჩხენკელი მთელი თავის განმავლობაში დაჰინგითა მთხვდა, ჩემი უძვირფასესი მოგვარით მ. წერეთელი და ჩემი ძმა გიორგიც მიმიგზავნა; მიუხედავად იმისა რომ თვით ქალბატონმა ჩხენკელისამაც, რომელს უღრმეს პატივს ვცემ. მთხვდა დავთანხმებულყავი, მე უარი განვაცხადე და საქართველოში წავივი. შევიგაროთ დიდ თანამდგომლობას და განვხრდ-მით ცნვრებას ჩემი უბრალო პოლკოვნიკის ხარისხით გომილაში წასვლა ვარჩიე. მაშინ სომხეთში გვიპირებდნენ იმსა. ჩხენკელმა კიდევაც მოსწერა ბ-ნ ყოველანაირად, გერგხელიძე უკან გამოგზავნეთ გვრძაში. როდესაც ტფილისში ჩავივი, ბ-ნი ყოველანაირად კარგად მიმიღე და მითხრა: თქვენ სამსგდრ სამსახურში ვკვირდებით და სთქვით, რა ადვილი გხურსთ. მე შემეძლო ამ შემთხვევით მესარგებლა, კარიერისტი რომ ვყოფილიყავი. მაგრამ მე ვუპასუხე: არაფერი მინდა, ისევე ვლიონის კლამირად დამტოვებ მეთქი. აი გატონგო სინამდვილე. საჯაროდ ვაცხადებ, რომ რა ხაც გამეღ, ყოველივეს სიყვა სიტყვით დაადასტურებენ ბ-ნი ჩხენკელს, ბ-ნი ყოველანაირად, მ. წერეთელი და აგრეთვე ჩემი ძმა გიორგი. ესადა-ჰყვდეს თუ არა ყოველივე ეს, რომ არაფერი მითხვია არაე სათავის, რომ, პირიქით, მე თანითონ მთხვდებო. მე მხოლოდ მინდოდა ჩემი მცირე ძალი-სა და უნარის-და გვარად ჩემი სამშობლოსათვის მსმსახურა იქ, სადაც მისი ბედი სწყდებოდა, და ეს ადვილი უწინარეს ყოველისა ბრძოლის ველი იყო. მაგრამ გროვ. დემოკრატიულ პარტიის ლიდერი და ისიც მსამით აღსაქვ გაბაშვილი ოლო-ლო იწამებს უანგაროდ სამსახურს სამშობლოსათვის! თქვენი იგი, რომ მე მთელი ჩემი სამსახურის განმავლობაში დამოუკიდებლობის დროს ჯამაგირი არ ამიღია? არ ამიღია პრინციპიდან, რათა მინდოდა სამშობლოსათვის სრულად უანგაროდ მსმსახურა. თქვენი იგი, ბატონო რ. გაბაშვილი, რომ როდესაც მე გაქსავნეს პოლკოვნიკი 1920 წელს პოლკოვნიკობის დროს დროს, პოლკოვნიკის დიპლომატიურ მისიას ტფილისში ეულის მიღებაზედ სამოგზაურად, სა-ხარჯით თუ გასამრჯელოდ, გარგვრული უარი ვუთხარი და ჩემის საკუთარის ხარჯით მთელი რ თვე ვ ყავი გესპედი-გამო? მე ეს დამოხდა 50000 ფრანკით ფრანკი. გნებავს საბუთი? მამართა პოლკოვნიკის ყოველი წარმომადგენელს საქართველოში ბატონ ბელომრისისკი და ისიც ჩემ ნათქვამს დაადასტურებს.

შემდგომად ამისა უნდა ვთხრო დიდი სამსგდრად ადვილი. 1925 წელს დამინიშეს მის იმპერატორული უმადლესობის ხალარ-გდ-დგვლეთის ჯარების მთავარ ხარ-დლად. აქაც მე არავისთვის მიიმართავს; არამედ მე მემ-მართეს და მთხვებს, ეს თანამდგომლობა მეკისრა. მე პირნათლად შევასრულე ჩემი დანიშნულება. ყოველივე ამის საბუთებს პირში ჩაგნით, შეგარვხვით, თუ კიდევ რაიმე სირ-ცხვილი შეგარჩიათ.

აი საკუთარი თქვენი ტორების წინააღმდეგ, ბ-ნი გაბაშვილი! და თუ თქვენ მეგობრებს რაიმე უკუა და ვინება აქვთ, დაფიქრდენ, რა გინძურ საქმეს ხადიან. ადამიანის ტალახში თრევა, გინება, ცილისწამება საკადრისი როდის ყოფილა! ეს ისეთივე დასაშულება, როგორც ის, რომელიც ჩაი-დინა ასათიანის ჯგუფმა 30 მარტს, როდესაც რუსთაველი-ის და ხედალ დემოკრატიის წინადადება ერთხმად მიი-ღე.

ბატონ გაბაშვილი, თქვენ შეგიძლიათ დასწეროთ, რომ მე არ ვარგვიარ როგორც მხედარი, გაუწილ კრიტიკა ჩემს ბრძოლებს, ჩემს სამსგდრ თსულებსა ჯარების აღზრ-დის შესახებ, დამიწეროთ როგორც მწერალი ან პოლიტიკო-ლი, მაგრამ რომ გამოემდგარსოთ და უმეორი სიტყვით გაჰინგოთ, რომ ჩემს ოჯახსაც კი შეუტაცებდას აყენებოთ, ვინაითგან ავლაგარში გასრდილს მემანით, ნუ თუ არ გესმისთ რომ მე საქციელი ყოველად ბინძურია, რომ არის ისეთი რამ, რასი შესებარ შეიძლება? მაგრამ ვინც თქვენ გინცნობს, ალგათ გაგინგა, რამ თქვენ აღზრდას ვისმე უწივება.

ლანძღვით და ცილისწამებით გვრ დამამიერებთ! თქვენგორ ცარიელი სიტყვებით კი არა, არამედ საბუთებით გომტო-ცნებთ, რომ ყოველივე თქვენი ნათქვამი ჩემს შესახებ ცილის წამებაა და სხვა არაფერი!

2) გერგხელიძე მენმევიკავს გამსახურად, მაშინ როდესაც ჩვენ ცხენებში ვისხვდით, მისაყვედურებს გაბაშვილი.

მთავროვად არამც თუ მენმევიკავი, არამედ ოვითონ თქვენ რამ ყოფილიყავით თქვენი მხარე თავით, გაუწილ გაბაშვი-ლო, ჩვენი ქვეყნის იმ ტრადიციულ მომენტებში, თქვენც კი გემსახურებოდით. მაგრამ თქვენ რა ქვეყნის პოლიტიკაში მგობრბეი ისეთი უხუხურნი, ისეთი სურნი, პოლიტიკუ-რად ისეთი უძლურნი გამოდგენით, რომ საჩუქრად დასა-თავები კი არა, არამედ ცისგვარი სიხვედით თქვენ დამი-რდით დამოუკიდებლობის დროს ისევე, როგორც აჯანყების დროს და როგორც ახლა გმოგარებაში, სადაც ოთხ ნაწილად დაიყავით და ურთიერთს დაგრიეთ; დაგამარცხათ ურთიერ-თის გაუტანლობამ, მტრებამ, შურმა, დალატმა და ამბიციებ-მა. თუ თქვენს შიშის მოძიებება ორიდგ პირი, რომელთ დორგულება ჰქონდა, მათაც ინტრიგების ქსელში აბამდით და მოქმედების საშუალებას არ მძლევიდით.

გერგხელიძე ინტრიგანია. მე ვერ ვინ ამბობს ამას! გროვ. დემოკრატიულ პარტიის ლიდერი და ისიც გაბაშვილი! ეს ისეთი სასაცილოა, რომ პასუხის მიცემა არა დირს.

მე ინტრიგანი ვარ, მსდლი ვარ თუ ავი კავი, ეს თქვენ კი არა, არამედ მათ უნდა განსაჯონ, რომელთაც ჩემთან უმუ-შავნათ, უბრძვიათ და უმდღეაწნათ. გხენ არიან მ. წერე-თელი, ბ. ხურვლამაძე, გ. მახაგული, ნ. მადალიშვილი, მ. გარ-დიძე, გ. გერგხელიძე, ზია აბაშიძე, ვ. ციციშვილი. თუ ერთი მათგანი მაინც იტყვის, რომ მე ან ინტრიგანი, ან მსდლი, ან ავაზაკი ვარ, მე საჯაროდ გამოვაცხადებ, რომ გაბაშვი-ლი მართალია. სდლ თქვენ, ბ-ნი გაბაშვილი, ჩემი წიგ-ვის შეფასება არ შეგიძლიათ, რათა არაფერი საგოთ თქვენთან არა მაქვს: არც ოდეს ვყოფილვარ და არც კვლავ ვიქმნები თანამშრომელი არცა თქვენი და არცა თქვენისთანა უგვანო და უღირს პირებთანა.


3) გაბაშვილი მისაყვედურებს: მიუხედავად იმისა, რომ გერგხელიძე რამიშვილმა ცილი სწამა, მაინც გხმარებოდა სო-ვიერთ საქმეში. მთავრობაზედ. მართალია, და, ეს მე არასოდ-დე დამიძალავს. როდესაც თქვენ საგოთო ფორტში ბრძან-დებოდით, თვით თქვენ და ვანამემ მთხვვით, რომ განსახ-ავრულ საქმეში მთავროვას დაგხმარებოდი. მეც თქვენი-ვე რჩევით, თქვენი თხვნიით და თქვენთანვე მდრივებით დავთანხმდი. თუ ეს ახე არაა, დეც თქვენმაც თანამშრომ-ლემა ს. ხალდასტანიშვილმა და დ. ვანამემ უარჰყვდეს სა-ჯაროდ და წერილობით. მაგრამ აქვე ვამბობ, რომ ეს დრი პირი ამას ვერ უარჰყვდეს. ამის შემდეგ გამდინხართ და ურცხვად მლანძღავთ იმისათვის, რახვდაც თქვენივე თსვ-ნიით დავთანხმდი. არც ნამუსი მდდის კირტივით, თორემ თქვენც ცორადენი გქმნებოდით!

მე ვიქცეობ, რაც სმირად მათქვამს: სვალაც და ყოველ-თვის, თუ კი დუინახვ, რომ მთავროვა, მენმევიკავი, თუ ვინც გმძაკი და ქაჯი, ვინც რამიშვილი და თვით ასათიანიც კი, თუ კი საქართველოსათვის რამე სასარგებლეს გააკ-თვევენ, მე ჩემს კულისწერობას, ჩემს პირად ანგარობებს და-ვაიწყებ და დავგმარებთ უსახვილდ და თქვენსავით ჯა-მაგირს არ მოვითხვ.

4) სხვა შეგონებები თქვენ მიერ წამოყენებულ ბრალდებას. ვითომც მე მთავრობისაგან ცუდიანი დავალებანი მიმეცეს. როდესაც თქვენ ბინძურ წერილს თქვენ მეგობრებს უკით-ხვდით, სად იყო მაშინ ს. ხალდასტანიშვილი, რომ მან თქვენ წინააღმდეგ ხმა არ აღიძალა, რათა მან გარკად იცის, რაც ავიდო მთავრობისაგან და რათა ის პა-ტილხანი კავია. მაგრამ აქაც მე თვითონ გაგაბათილებთ სა-კუთებით. აი რა ცუდიანი დავალებანი მიმეცა მთავრობამ: გრთხელ გამგზავნეს სვლის პირას იმისთანა საჭურდო-ადეცლს, სადაც ერთი პარტა ოთასი დღეში სულ უკან 1-კ-ნელი 100 ფრანკი დირს. იქ ერთ პირს უნდა მხოლოდ პარკე-ბოდი. დავრჩი ნ დღე. ესა დირს 200 ფრანკი. მთავრობამ სულ მიმეცა მხოლოდ 700 ფრანკი. ჩემი ჯიბითგან დავადე 300 ფრანკი. მეორედ გამგზავნეს ერთ სახელმწიფოში, სადაც ცხვრება დამიძხვლა მეტად ძვირია. დავრჩი 8 დღე. ორ-ჯერ სადილად მოვიწვი ერთი საჭირი პირი. ამამი მივი-ღე 1500 ფრანკი. ჩემი ჯიბითგან დავადე 200 ფრანკი. იმას არა მსთვლი, რომ ამ საქმეებზედ სირბილი და მოგზაურდამი მივდგი გვრძე სამსახურს და ერთი თვის ჯამაგირი დამე-კარგა. მარშან ნიციოთან მთავროვამ ტელეგრაფით დამიბრა-ჭრთ ქალაქში. მოგზაურდამ მესამე კლასით დირს 217 ფრან-კი. იმ ქალაქში დავრჩი 2 დღე. მთავრობამ გამმიგ-სავნა მხოლოდ 200 ფრანკი. როგორა ჰქოვროვთ: იძულები-ლი ვიყავ დამედო ჩემი ჯიბითგან თუ არა?

გრთხელ საჭირდ იყო ერთი უნდაცლისათვის მივცემა 2500 ფრანკი. მე არ ვიკისრე ჩემი სვლით გადამეცა ეს ცუდი, რათა ვიცოდი გაბაშვილის გნ ს ამბავი და მოვითხვე ეს საქმე. ვანამემ გვისრა, ეს ახეც მხუნდა. აი ყველა ის ცუ-დანი დავალება, რომელსაც რ. გაბაშვილი ბრძანებს. ვკ-ნებ ყოველი პარტიელანი კაცისათვის ცხადია, რომ გაბაშვილი ცილა მწამებს, სტყვის და სტყვის განხრას, რათა ყოვე-ლივე ჩემ მიერ მიდგეული გრომის ანგარიში მან კარგად იცის. საბუთები მისი, რასაც აქ ვწერ ჩემ დავალებათა შესახებ, ლეგაციაში არსებებს, და აწის დამტკიცება ადვილია. მე წი-ნადადებას ვამდე ასათიანის ჯგუფს, რამდენიმე ცნობილ-და სანდო პირთა თანადასწრებით ლეგაციის წინაშე წარ-გ-დაც და ეს საბუთები მოვითხვოვთ. მაგრამ ვიცი, რომ ეს მეტორეთა ჯგუფი ამასვე არ დასთანხმებდა, რათა გარ-კად უწყის, რომ გამტყუნებდა.

რ. გაბაშვილმა, ს. ხალდასტანიშვილმა და დ. ვანამემ კარ-გად იცან, რომ პარონში მთავრობის დავალებათა აღი-რუ-ლებმა თხულებოდა გვერნაირ ხარჯს: საჭირდ იყო ამა თუ იმ პირთა ტაქსით წაყენა-წამოყვანა, კადეგებში პეპანსეც შეგვდრდა მათი და გამასპინძლება და სხვა. ყოველივე ეს მხოლოდ ჩემ საკუთარ ჯიბეს აწვა და არც ერთი სანტიმი მთავრობისაგან არ მიმიღია. აი, აქა მარ მეცა და მთავრო-ვაც და ავა სთქვამს მთავრობამ, თუ ეს ახე არაა. ამ დროს ვან-ნამე, რ. გაბაშვილი, მ. ამირგჯოგი საგოთო ფრანკითგან კარგ ჯამაგირს იღებდენ, ჩინლვნიკებით მსახურდოენ



მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამ დავალებათა აღსრულებითობის ხარისხი თანამშრომლობის დროს ხანმოკლეა და არ მომდევნოა წინა აღნიშნულ წარგებში.

ყოველივე, რაც მთავრობამ დაიწყო, სახეებით შევასრულე. თუ ყოველ საქმეს მთავრობა ბოლომდე ვერ მიჰყავს, ეს ჩემი გრაფი არაა, არამედ მთავრობის განმარტებისა. აქაც წინადადებას ვაძლევ ვაგაშვილს, დავეკითხეთ მთავრობას ამის შესახებ ცნობილ პირთა თანადამხმარებელთა.

საჯაროდ ვაცხადებ: არავითარი მსგავსი იმისი, რასაც რ. გამაშვილი გრძნობს, გ-ნ ურდანიასათვის არ მიმიწერია. მე მივწერე მას: იმ ადგილს, რომელზედაც ჩვენ წინადადებას ვაძლევთ, საქმე მომწიფებულია და შესაძლებელია მუშაობის დაწყება მისთვის. სხვა არაფერი მამაბადამე აქაც ვაგაშვილი თავს ჩვეულებისამებრ სტუდენტს და ცილსა მწამებს. წესდარღვევით წერილის შემდეგ ურდანიას შევხვედით და ვინაობა ვილაპარაკეთ. ბევრიც რომ გეწყინებთ, ბ-ნ გამაშვილი, თუ ურდანიამ იმ საქმის გაკეთება მოიხურვა, ვიდრე მე მომმართავს და ვიდრე დავგზავნავ. ეს იმიტომ, რომ ეს საქმე საქართველოსათვის სასარგებლოა, თუ გაკეთდა. ვიდრე გრძნობს წინადადებას ვაძლევ გამაშვილს, დავეკითხეთ ურდანიას, თუ მისთვის გამაშვილის მიერ მოქმედი წერილის რაიმე მსგავსი მიმიწერეს. დიახ, გ-ნ ვაგაშვილი, თქვენ გინდურს თქვენს მე ფაქტებს და საბუთებს ვუპირდაპირებ და თქვენ ტყუილებს სრულიად გზად ვყვით. ამიტომ საჯაროდ გვუბნობთ: შეტყობთ ხართ და სხვა არაფერი!

5) რაც შეეხება ვალანტინის, ინციდენტს, ერთს ვიძრავთ: ამ საქმეს პრესაში ნუ გამოიტანთ, ნუ გამოამყვანებთ, რათა იმ საწყალს, თქვენს მიერ გამოიყვანულ ახალგაზრდებს და ზიანს მიყენებთ. ჩვენ არა ვფრთხილდებით, როდესაც მის და ეს საქმე და ვინ იყო დამნაშავე. ნუ თუ არ გესმის რატომ? თქვენმა მგობრებმა და ჰეარტებს გინებდა, ეს არის საკვირველი, თორემ თქვენ რომ პირადად დასაჯარგი გეჩვენებთ არა გაქვთ, ეს კარგად ვიცი.

6) თქვენ გრძნობთ, ვერცხვად ახალგაზრდობაში გარყვნილება შეაქვს. ეს არ მინდა ჩემ თავს აკადრდ და თქვენს საჯაროდ გაკადრდოთ და მ ვახსენებთ, თუ რა გარყვნილება და ყინილება. მაგრამ ვთხოვთ, მოთმინებით განაწილოთ ყველაფერი.

7) როდესაც თქვენ საზოგადოებრივ წყობით, თქვენ და თქვენს მგობრებს ალგათ ვგვინათ, რომ ღელე გრძნობდით წინგორივად მოხსობდით და თვით გიორგულეების თვალში მის პრესტის დასაბეჭდებლად. რა უკუხურობით ხართ, თქვე საწყალე! ნუ თუ ვერ ხედავთ, რომ აქაც ისევე დამარცხდებით, როგორც დამარცხდით რუსების საკითხში, რ-

დესაც გადაგვარებულ ქართველ უგეს და მწიფეობებს მიუდგებით? მაშინ თქვენმა საქმეებმა ქართული საზოგადოება იმდენად გაჭყდოდა პარტიკულარის მიხედვით: ყველა გარეუბი ბული და გადაგვარებულ თქვენს მხარეს დადგა და ყველა პარტიკულარმა და მამულიშობილმა «თვით გიორგის» გამოუგონადა სიმპარტია, და ამისთანავე თქვენს შორისაც აღმოჩნდნენ. აქლა ვი, ვაგაშვილის წერილით, ქართველთა საზოგადოებას ისევე იმდენად ვყვით, სულ წინგორივად და პარტიკულარის მიხედვით. არ შეიძლება რომელიმე პარტიკულარმა და სინიდიხორმა ადამიანმა არ შეხედოს თქვენს გინძურ წერილს იმ შემთხვევაშიაც ვი, რომ ვინმე არადირსულად ადამიანად მოვიდეს და მტერს იყოს ჩემი, ვინათვის არ გესმის, რომ არ შეიძლება ადამიანის ასე თრგვა და ლანძობა და მტერად მისი დჯანის შესება! ნუთუ თქვენი გინაჩაგი გვინათ რომ ყველა ტაფაში ასხათ?

9) რაც შეეხება ჩემ ოთახში ზაკრტვას და მის, გვირ თქვენი სრული თავის დანტახია. მთელი თქვენი ჯგუფის ლიდერები სულ თოდ-ზარბაზანში რომ ჩახსდით, მაშინაც ვერ შემაინებთ. რაც შეეხება თქვენს ახალგაზრდებს, მათ ვუღიძვრავ რომ ჩამახვან, მე ხელს არ შევანებ. ახალგაზრდას მომავალი აქვს და შეიძლება სამშობლოს გამოადგეს. თქვენ ვი, ბ-ნ რეზო, სხვად ინტრიგებით სავსე წარსული გაქვს და მომავალშიაც ინტრიგებით სავსე არას წარმომებს თქვენი მდაბალი ბუნება და სული, მსამის მეტი არა ამოვა რა თქვენი ბოლომდე გულითა.

დასახტულ დავსძენ: ყოველი თქვენ მიერ ნათქვამი ჩემს შესახებ სხვად ბინძური ტორი და ცილის წამება, რომელიც პარტიკულარ ადამიანის თვალში სხვად თქვენს ჯგუფს დაამცირებს. ჩემ პრესტის ვი თ. ვიდრე ვთავაზობ ვერა ვით ვერ შელახავთ, რაც არ უნდა იტორიკანდო. თქვენ ენას რომ ადამიანის წინგობრივად მოხსობა შეეძლოს, აქამდის ქვეყანას ამოვადგებით იმიტომ, რომ გაუტორავი არავინ დაგრჩენიათ.

თქვენი ცილის წამება და ტორები თ. ვიდრე ვერ შეარყვებ. თეთრი ვიდრე ვ. ვუშაპელოს, ლ. ჯაფარიძის და რ. გამაშვილის მიერ დაგრვილ ტალახით ვი არა შეთითხინდი, არამედ ერთი მძლავრი ეროვნული იდეალით რვინის რანმად გამოტყვილი და მას ვერავითარი ძალა ვერ დაანგრებს. თქვენ და თქვენმა მგობრებმა თქვენი ინტრიგებით. შერთი და ბოლომდე ეროვნული დეპტე. პარტია დაანგრეთ, მაგრამ თ. ვიდრე ვი ვერას დააკლებთ.

თქვენი ადგილი, ბატონო, გამაშვილი, სავიყეთშია და არა ბოლიტ. პარტიაში.

ლ. კერესელიძე.

ციის მოხდენა, არამედ სხვა რაიმე ბოლიტკური კომპინაციის გამოდგება. დღეს ვი ასეთი საკინტო არ გვიდგას.

ახე, ბატონო რევაზ, ორივე თქვენ მიერ თეთრი გიორგის წინააღმდეგ მოყვანილი ფაქტები თეთრი გიორგის მიერ სხვან და მეც მათში, თქვენი წერილის წაითხვამ შეტად ვაგვაფა. დიდი სნითვან გინდობთ ბინძურად და თრგვს საზოგადო მოღვაწეხაც და თქვენი ყოველი რეზოლიუციონი, მაგრამ გულწრფელ ბოლიტკურად მიგვანდით. შემდგომი ვყვითილვართ. თქვენ მიწინააღმდეგეხთან საბოლოოვლად ისეთ განზრახ დამახინჯებულ და ყალბ ფაქტებზე ეყრდნობით, რომ მე თქვენგან შეურაცხყოფილი, მაგრამ მაინც თქვენი უნდრებს თანამეამულე, მეტად უხერხულ მდგომარეობაში ვარ იმით, რომ თქვენი ასეთი სიყალბის მსილება მჭირდება. ეს მსილება ვი საკინტო, რათაც თქვენ სხვას უხერხებას სწამებთ და თვითონ ვი ისეთ უხერხებას სხადინართ, როგორც არის ფაქტების განზრახ დამახინჯება. თქვენ, ბატონო რევაზ, სხვის სწივებზე სათქმელი არაფერი გაქვს. წემოდ თქმულიც ამას უკვე საკმარისად ამტკიცებს. მე მაინც მინდა ვიდრე ერთი პარტია ინციდენტი გაგახსენოთ, რომელიც თქვენთვის ძალიან სასახლე არ არის. ალბათ თქვენ კარგად გახსოვს ბ-ნ გ. ნიჭაძის და ჩემი თქვენს ბინაზე **Vaugierard**-ის ქუჩაზე მოხვლა. ეს იყო იმ დროს, როდესაც ჩვენ რუსებისაგან შემდგარი სტრეს გამოცხვლა 26 მაისის დღესასწაულზე არ გვინდოდა. თქვენ სემ მაშინაც, როგორც 30 მარტის კრებაზე, მიწინააღმდეგე ბანაში ბრძანდებოდით? მაგრამ ეს არაფერი. ჩვენ თქვენგან გადატვილ პასუხს მოვითხოვდით. თქვენ ვი, როდესაც არგუმენტები შემოგაკვლიათ, დაუწყებთ სატიკო ლანძობა თქვენ მიერ ჩვენ მაშინდელ მეთაურად მინეულ პირს მე არ მინდა ეს პირი დავასახლო. რათგანაც მას საქართველოშიაც, მაშინაც დაახლავ, პარტიკულარ ვეძმე და ასეთ შემთხვევაში მისი სახელის გამოტანა გახეთის ფურცლებზე უხერხულად მიმაჩნია. თქვენ ამ პირს, თქვენს პარტიაში გამოწრდით, ჩემს დაკვანტალიანის აგერტი უწოდებთ თქვენ ალბათ ისიც გახსოვს, რომ ამ სხვანს ჩვენ ორის გარდა ჩვენი პარტიკულარის თანამეამულენი ბ. ბ. შალიკა, შვილი. მ ამირეჯიბი და ს. ზაღალანტიანი თქვენი ჩემგან და ის საკადრის პასუხს. რომელიც თქვენ მაშინ ჩემგან მიიღებთ. თქვენ რომ იმ პირზე ბოლიტის იმავა არის ყოფილიყო, ვიდრე შესაძლებელი იყო თქვენი გამართლება, მაგრამ დღეს სულ სხვას ვხედავთ. ეს პირი თქვენს გურდით თქვენს ჯგუფში მოღვაწეებს და ორგანიზაციის ერთ მეთაურად ითვლება რა გამოცხვლა? სხვად იმ. რომ დღეს თქვენ ერთ ბანაში ხართ და იმ დროს ვი დროებით თქვენი მიწინააღმდეგე არ დაინდევით და ისეთივე სიყალბით რეგორც დღეს ამას სხადინართ, გინდოდით იმ შემომდ ქართული პარტიკულარის გამაშვილ აი რა არის უხერხება და თუ გნებავს სილანტრე, ბატონო რევაზ.

ვიდრე სხვას წინგობის და რანინდობის გავეკითხებთ მისგან, თვით უნდა იყვეთ უმნიშვლო და რანინდი.

მის. კელია.

პასუხი რ. გამაშვილს.

რ. გამაშვილი თავის არა საკადრის წერილს ასე დაასკვნის: «და ჩვენ ვკითხავთ მისგან პოტყუებულ ახალგაზრდობას, თუ ამ წინსა და წემოალიწულ წინგობის პარტონს ბ-ნ კერესელიძეს რა წინგობრივ სიმალეზე შეუძლიან აიყვანოს თავისი მიგვილი».

სანამ პასუხს ვაძლევდით, ჩვენც ვკითხავთ ამ სინონიმს ინტრიგანობისას. ამ გესლიან, შხამით სავსე ერთერთ ლიდერთაგანს დანგრეულ, დაქუტმატებულ, მხოლოდ ლიდერებ დარჩენილ პარტიკისას: როდესაც ამ წერილსა სწერდით თქვენს ჟურნალში, რომელიც საუბედუროდ «სამშობლო» ს სახელს ატარებს, — რა ჭკუაზედ იყავით: სრულწლოვანი რევაზი, თუ მცირეწლოვანი რეზო?

პირველი ჩვენთვის მიუღებელია, რათა სრულწლოვან რევაზს, თუ პოლიტიკური ჯენტლმენობა არა, იმდენი ტაქტი, რანავი გამჭრიახობა მაინც უნდა შეგრჩენოდით, რომ იმ ახალგაზრდობისათვის, რომლისაგანაც პასუხს მოვლით, მისი საყვარელი ძმა და ხელმძღვანელი ასე უსინიდიოდ, უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ, ავლარულ ლანძობა-გინებით არ უნდა მოგესწინებიათ. ალბათ მცირეწლოვანის ჭკუაზედ იყავით და აი ჩვენი პასუხი რეზოკოს, უკეთ რომ ვსთქვით დაროგება, რათგან, თუმცა ჩვენ ახალგაზრდები ვართ, მაგრამ რეზოკოს წინსა და მისი ტოლი ჩვენს რიგებში არ მოიძებნება, — ყველანი სრულწლოვანი ვართ:

უხრდელი ბავშო, უნდა ისწავლო საზოგადოებაში თავის დაქერა, ლაპარაკი;

შენი ჭკუის სწავლება ჩვენ არ გვესაჭიროება და გადაეცი შენს ხელმძღვანელს, ბ. ალექსანდრე ასათიანს, რომ შემდგომ ასეთი წერილი არ დაგაწერინოს;

რაც შეეხება «მოტყუებულ» ახალგაზრდობას, ის მეტად კარგად გრძნობს თავს იმ ადამიანთან, რომელსაც ის ენდო, ძმად შეეფიცა. სჯობს მოუაროთ თქვენ თავს და იმ ორ ახალგაზრდას, რომელიც კიდევ შეგრჩათ და რომელიც რეველებით დასეირნობს პოლოვაციის მიხინთ.

თეთრი ვიდრე ვი ახალგაზრდობა.

ვალანტინიძე.

დიდად პატივცემულო ბატონო კელაძეობროს!

გთხოვთ თქვენს პარტიკულარულ გახეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგ წერილს.

პასუხი ბ-ნ რევაზს რევაზისადმი.

უხრნალ «სამშობლოს» მე 7 დე ნომერში ბატონი რევაზს გამაშვილი თავს ესხმის «თეთრ ვიდრე» ს და ამ ორგანიზაციის ერთ ერთ ხელმძღვანელს ბატონ ლელ კერესელიძეს. არც «თეთრ ვიდრე» ს და არც ბატონ ლელს ჩემი ვეკილობა არ სჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი გამაშვილი მათგან საკადრის პასუხსაც მიიღებს. თუ მე მაინც საკინტოდ ვგანბ ამ გამათში ჩარევა, ეს სხვად იმიტომ, რომ ვამხილო ბატონ რევაზს გამაშვილის მიერ სრულიად ყალბად გამოცხვლილი ფაქტები, რომელთა მიწამე მე გახლდით.

ბატონ რ. გამაშვილს მიჰყავს «დამახინჯებული ფაქტები». დავიწყებთ პირველითგან: ბ-ნი რევაზი სწერს: «უშაპელოს მოკვლის საღამოს ხამი თეთრი ვიდრე გიორგის ახალგაზრდა (ჩემთვის გასაგებ მისწერის გამც ის ამ ახალგაზრდებს არ ასა. ხელებს. ესენი იყვნენ ბ. ბ. ვიდრე ნიჭაძე, ვიდრე ჯაყელი და მე თქვენი მორჩილი) თავგადაგლეჯილი დარბოდა ფრანგულ გახეთების რედაქციებში და მათ საჩქაროდ ამეკუდინებდნენ; ჩვენ არ მოგვიკლავს ვეშაპელი, ის ბოლშევიკების აგერტმა და პრევიკატორმა მოჰკლავა». ამ ფაქტს ბ-ნი რევაზი ლანტობით ხსნის და დასძენს: რომ ამ განცხადებით მათ თავიანთ პირველ აქტს, ვეშაპელის კრების დარბეგას, ბოლიტკური მნიშვნელობა დაუკარგეს და სულიგანურ მოვლენად გადააქციეს. რაც შეეხება ჩვენი მაშინდელი აქტის დაფახებას, არ ვიცი თუ ბ-ნი რევაზს მაინც და მიაჩნია ის სულიგანურად. მაგრამ მთელმა ფრანგულმა პრესამ, გარდა «Humanité»-ის, იგი დაფახა როგორც ბოლიტკური აქტი და სიმპარტიკული სრულიად ჩვენს მხარეს იყო. რად ავიწყდება ამასთან ბ-ნი რევაზს. რომ იმ ცნობილ «Voltaire»-ის დღეს მისი ორი ამხანაგი ჩვენთან ერთად იყო. მაგრამ ბ-ნი რევაზს ამ აქტის შეფახებას თავი დავანებდით და დავუბრუნებდით «ჩვენ თავგადაგლეჯილი სირბილს». სრული სიმართლეა რომ ვეშაპელის მოკვლის შემდეგ რამდენიმე ფრანგულ გახეთის რედაქტორი ვინაშეუღებ და მათ შესაფერისი განცხადება მივცით. მაგრამ წარმოიდგინეთ რომ ჩვენ თავგადაგლეჯილები როგორ დავრბოდით, არამედ მშვიდად ვისხედით ერთ ერთ პარტის ტაქსიმ, რომელიც დავატარებდა რედაქციითგან რედაქციამდე და ალბათ თქვენ კარგად გახსოვს, ბატონო რევაზ, სახელი და ვარი ჩვენი მოფერისა. მკითხველს ვი მოვასხენებ, რომ ეს მოფერი ბ-ნი რ. გამაშვილი **in persona** ბრძანდებოდა. ბატონო რევაზ, თქვენ ისიც კარგად იცით, რომ ჩვენ იმ საღამოთი ჩვენის ინციდენტით არ ვმოქმედებდით, არამედ ვახრულებდით დავალებას, და არა დავალებას ბატონ ლელსა, რომელიც იმ დროს თეთრი ვიდრე ვი არ ყვით-

ლა, არამედ ისეთი პირებისას, რომელნიც ქართულ საზოგადოების ოფიციალურ პირებად ითვლებიან. ამ პირთა შორის ორი თქვენი პარტიკული და პირველსახარისხიანი ამხანაგიც იყო. იმ შემთხვევაში ქართული საქმიანობის საკინტო იყო ქართულ საზოგადოების დესოლიდარიზაცია ვეშაპელის მკვლელობას. ამის საკინტობა მაშინათვე დაინახეს იმ ოფიციალურმა პირებმა და ჩვენც მათი დავალება ავასრულეთ: ასეთივე განცხადება შემდეგ ვააკეთეს ყველა ქართულმა პარტიკულარმა და თქვენმაც მათ შორის თქვენ, ბატონო რევაზ. ეს ყველაფერი კარგად მოგახსენებთ იმ საღამოსაც, სანამ ადგილითგან დავიძრდით, თქვენი ტაქსით ყველაფერი ავისხინით მამ რატომ მაშინ არ დავავიშაღეთ «ამ ლანტული ნაბიჯის გადადგმა». პირიქით თქვენ ტაქსის ფულიც ვი არ გადაგვანდევინეთ, რისთვისაც შემთხვევით ვსარგებლობ და მადლობას ვიძენით თქვენი სიტყვები ვი ესლავ მახსოვს: «დღინდ თქვენ ქართული საქმე ვააკეთეთ და თქვენი ფული რად მინდაღ». მამ რაშია საქმე, ბატონო რევაზ! თუ ვი მაშინ ჩვენი ნაბიჯი ქართულ საქმის ვეთებად მიგანჩიდათ. ესლად რად მიგანჩიათ ის სილანტრე! პასუხი სხვად ერთია: ალბათ სხვა ვერაფერი მოხდებოდა მიწინააღმდეგის გასაშავებლად და ფაქტების დამახინჯებას მოჰყავით სელი.

ესლა ვნახათ ბატონ რევაზის მიერ ყალბად მოყვანილი ფაქტი ბ-ნი რევაზი ცდრა უფრო ქვემოდ ასწერს ცნობილ სა. პრეტესტო კრებას ქართველ პარტიკულარებსას, ბ. ბ. ურდანიას და რამიშვილის მიერ საქართველოში გაგზავნილ წერილების გამც მოწვეულს. მისი სიტყვით, თითქმის თეთრ ვიდრე რეველები იმეჭრებოდნენ. მთავრობას და ლეგაციას ავიკლებთ თ. მართალია, დაახლოვებით ასეთი რეზოლიუცია წავითხულ იქმნა ბ-ნი რ. დეგუბაძის მიერ, მაგრამ არა თეთრ ვიდრე ველების სახელით, არამედ საფრანგეთში ყვით ქართველ სტუდენტთა სახელით. და ბატონ რევაზს ძალიან კარგად მოეხსენება, რომ სხენებულ კავშირში მაშინ არც ერთი თ. ვიდრე ველი არ იმყოფებოდა, რათგან თეთრ ვიდრე ველი ორგანიზაციულად გახული იყვნენ კავშირითგან. სტუდენტთა კავშირის წევრების დიდ უმრავლესობას ვი თქვენი პარტიკული ამხანაგები შეადგენდნენ. მე არ შევალ იმის გარჩევაში, თუ ვის ხურდა ლეგაციის და მთავრობის ჩამოღება, რათგან ასეთი პირადად არაფერი გამოენია და ნამეტანი უსუხურეც უნდა ყვითილყოფ ის ორგანიზაცია, რომელიც ამაზედ იფიქრებდა. მე სხვად შემიძლია კარგვორთულად განვაცხადო, რომ ჩემი «თეთრი ვიდრე» ს რეგებში ყვითისას და შემდეგაც, არავითარი ამისი მსგავსი არსი არ გამოთქმულა. პირიქით, თუ თეთრი ვიდრე ვი სატიკად ამხილებდა მიგინთ მთავრობის შემდგომ ნაბიჯებს, გარედ, უნდრელებს წინაშე, ის გვიდობდა ჩვენი მთავრობის პრესტიჟის დაცვას. ამას ჩვენი ეროვნული საქმე მოითხოვს შესაძლებელია დავადგეს მომენტო, რომ სხვანაირად მოქცევა დავკვირდეს, მაგრამ არა აქ რეველიუ-